

# მერიის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №15(29) 2012 წ. 1-15 აგვისტო ფასი 50 თეთრი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ჩვენს მუნიციპალიტეტში

## რას გვპირდება „სოფლის განვითარების პროგრამა — 2012“

### სად, რა, როდის?

**ყ**ველა, ვინც კი ამ დღეებში საგარეჯოში ყოფილა, შეამჩნევდა ჩვენი 50 წლოვანი იუბილარი ქალაქისათვის თანამედროვე იერ-სახის მისაცემად მის ცენტრში წამოწყებულ მასშტაბურ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რომელთა დამთავრების შემდეგ უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახდება აქაურობა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე ჩამოსული ტურისტებისა და სტუმრებისათვის.



სკვერი რუსთაველის ქუჩაზე

არანაკლებ მასიური სამუშაოებია გაჩაღებული მუნიციპალიტეტის სოფლებში მათი ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგებისათვის. ამისათვის წარმატებით მუშაობს წინა წლებში კარგად აპრობირებული „სოფლის განვითარების პროგრამა“. ამ პროგრამის მეშვეობით გასულ წელს ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა ჩვენი სოფლების მოსახლეობისათვის. უფრო მეტი გაკეთდება მიმდინარე წელს. წელს მუნიციპალიტეტში ამ სამუშაოებისათვის 987 850 ლარია გათვალისწინებული. აქედან სამუშაოთა უმეტესობა უკვე დაწყებულია და უახლოეს ხანებში დამთავრდება. ძირითადში კი მათი დასრულება სექტემბრის დასაწყისისთვისაა გათვალისწინებული.

„სოფლის განვითარების“ პროგრამით გომბორის თემში **გომბორის** შიდა გრუნტის გზების მოხრეშვა-შეკეთებაზე გათვალისწინებულია 15696 ლარი. ეს სამუშაო 26 ივლისსაა დაწყებული და 1 სექტემბერს უნდა დასრულდეს. ამავე სოფელში შეკეთდება ე.წ. „მახარეს წყალი“ (3500 ლარი). **რუსიანში** შეკეთდება მისასვლელი გზა (5328 ლარი), **ვერონაში** მოეწყობა სარიტუალო დარბაზი (5552 ლარი), **ვაშლიანში** შეკეთდება სასმელი წყლის სათავე (2365 ლარი), **ასკილაურში** – გადაიხურება სასმელი წყლის სათავე ნაგებობა (5759 ლარი). ყველა ეს სამუშაოები ივლისში დაიწყო და 1 სექტემბრისათვის დასრულდება. სამუშაოებს აწარმოებს ი.მ. „გიორგი წიკლაური“.

**კოჭბანის** თემი – მოეწყობა სასმელი წყლის **ბოტკოს** მთავარი სათავე და წყალმიმღები (6914 ლარი).

სოფელ **ოთარაანთკარში** მოეწყობა საუბნო წყალი და სპორტული მოედნისათვის მომზადდება ტერიტორია (2377 ლარი).

სოფელ **სასადილოში** მოეწყობა წყალსადენის ქსელი (7495 ლარი). **გორანაში** მოეწყობა წყალსადენი (5540 ლარი), **იკვლივ გორანაში** მოიხრეშება მისასვლელი გზა (2215 ლარი). ყველა ამ სამუშაოებს აწარმოებს ი.მ. „გიორგი წიკლაური“ და მათი დამთავრებაც 1 სექტემბრისთვისაა გათვალისწინებული.



თვალთხევის გაწმენდის სამუშაოები

სოფელ **ხაშმში** შეიცვლება სასმელი წყლის მაგისტრალი (32859 ლარი), ამ სამუშაოებს აწარმოებს ი.მ. „ნოდარ ხებრელაშვილი“. სამუშაოები მ/წლის 3 ივლისს დაიწყო და 1 სექტემბერს დასრულდება.

**ნინოწმინდაში** სოფლის პროგრამით შეიცვლება მუხების წყლის წყალსადენის გაყვანილობა, რაზედაც 41906 ლარია გათვალისწინებული. ეს სამუშაოები ი.მ. „ვახტანგ სამხთუაშვილის“ მშენებლებმა 4 ივნისს დაიწყეს და 1 სექტემბერს დასრულდება. ამავე რიცხვისთვის უნდა დასრულდეს სოფელ **წყაროსთავის** წყლის სისტემის მოწესრიგების სამუშაოები (24867 ლარი). სამუშაოებს აწარმოებს ი.მ. „თამაზი გაგნიაშვილი“.

**გიორგიწმინდაში** შეიცვლება გასული წყალდიდობით დაზიანებული კანჯარაანთ წყლის წყალსადენი მილები (43615 ლარი), მშენებელი შპს „აგა გრუპი“.

**ანთოკში** მოწესრიგდება სასმელი წყლის სისტემა (5131 ლარი). **მარიამჯვარში** აღდგება სასმელი წყლის სათავე (2188 ლარი).

სოფლის პროგრამით **მანავში** შეკეთდება სარწყავი არხი (15375 ლარი), რეაბილიტაცია ჩაუტარდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელ გზას (12012 ლარი). სამუშაოებს აწარმოებს ი.მ. „ვაჟა რევაზიშვილი”). ამავე პროგრამით ზემო მანავში მოეწყობა მინი სპორტული მოედანი (27282 ლარი). სამუშაოებს აწარმოებს ი/მ “დავით კავთუაშვილი“. ამ სამუშაოების დასრულებაც 1 სექტემბრისთვისაა გათვალისწინებული.

**დიდ ჩაილურში** მოწესრიგდება წყალთა სისტემა (24754 ლარი). მშენებელი შპს „ადენესი“.

**პატარა ჩაილურში** აღდგება დაზიანებული მაგისტრალური წყალსადენი (18888 ლარი). მშენებელი შპს „ნოკა ჯგუფი“.

**კაკაბეთში** მოწესრიგდება და აღდგება სოფლის სავარგულებამდე მისასვლელი გზის პროფილი (28747 ლარი). მშენებელია შპს „ვაკაბი“. მდინარე ფშაზე მოეწყობა გადასასვლელი ბოგირი (25891 ლარი). მშენებელი– შპს „ვაკაბი“.

**ვერხვიანში** გაიწმინდება სანიაღვრე არხები და რკინიგზისქვეშა ხიდი (12780 ლარი). მინი სტადიონისათვის მოსწორდება მოედანი (1979 ლარი). სამუშაოებს აწარმოებს ი/მ/ „არჩილ კურდღელაშვილი“. სამუშაოები 16 ივნისს დაიწყო და 1 სექტემბერს დასრულდება.

**ყანდაურა**. აქ საკრებულოს შენობის თავისუფალ ფართში მოეწყობა სასოფლო ამბულატორია (12845 ლარი). სასმელი წყლის სისტემას ჩაუტარდება რეაბილიტაციის სამუშაოები. **ზემო ყანდაურაში** შეიცვლება ძველი მილები, რაზედაც შესაბამისად 13704 და 2503 ლარია გათვალისწინებული. სამუშაოებს აწარმოებს ი.მ. „ზურაბ დუჩიძე“ და 1 სექტემბრისათვის უნდა დასრულდეს.

სოფელ **ბადიაურში** მოეწყობა მინი სტადიონი (30X15). ამ სამუშაოებს აწარმოებს ი.მ. ავთანდილ ბეგიაშვილი (31225 ლარი).

სოფელ **მზისგულში** აშენდება ეკლესია, რისთვისაც გამოყოფილია 16168 ლარი. მშენებლობას აწარმოებს ი.მ. იოსებ მეხაშიშვილი.

სოფელ **შიბლიანში** შეისყიდიან წყლის ტუმბოს და ძრავს, სხვადასხვა ელ. მოწყობილობებს (15225 ლარი). მშენებელი ი.მ. პაატა გოგიშვილი.

**უდაბნოში** ამ პროგრამით კულტურულ-ადმინისტრაციულ შენობას ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები (15916 ლარი) სამუშაოებს აწარმოებს ი.მ. ზურაბ ბაირამაშვილი.

მნიშვნელოვანი თანხებია გამოყოფილი მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული სოფლების **იორმუღანლოს, ქეშალოს, კალდოს, წიწმატიანის, ზემო და ქვემო ლამბალოს, თულარის და კაზლარის** სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწესრიგებისათვის. წიწმატიანში აშენდება სარიტუალო ფარდული (19571 ლარი). მშენებელი ი.მ. „გიორგი გზირიშვილი“. მნიშვნელოვანი თანხებია გამოყოფილი **უჯარმის, კალდოს, მუხროვანის, პატარძეულის, თოხლიაურის, სათაფლეს, ბურდიანის** ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად.

დაველოდოთ სექტემბერს და ერთად შევაფასოთ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის წლევანდელი სიკეთეები.

*ვიკი დაბახიშვილი*

№15(29) 2012 წელი, 1-15 აგვისტო

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ინფრასტრუქტურა — მშენებლობა-რეაბილიტაცია





მანავის სავარგულებამდე მისასვლელი გზა



პატარა ჩაილური



კაკაბეთის სავარგულებამდე მისასვლელი გზა



საგარეჯოს ნაგავსაყრელი



თვალთხევის გაწმენდის სამუშაოები

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 ივლისის სხდომიდან

### ექვსი თვის შედეგები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბერის № 20 დადგენილებით განვლილ 6 თვეში ცვლილება განიცადა 6-ჯერ, ამ პერიოდში ბიუჯეტის მოცულობა 5612 ათასი ლარიდან გაიზარდა 12723.5 ათას ლარამდე, ანუ 7111,5 ათასი ლარით.

– საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის № 55 განკარგულებით „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 310 ათასი ლარი, საგარეჯოში ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის მოსაწყობად.

– საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის № 162 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" - 987,85 ათასი ლარი;

- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის № 930 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" გამოიყო 130 ათასი ლარი;

- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის № 972 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში ზოგიერთი ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე" გამოიყო 200 ათასი ლარი;

განვლილ ექვს თვეში საკუთარი შემოსულობები გაიზარდა 5463,7 ათასი ლარით, მათ შორის შემოსავლები პროცენტებიდან -110 ათასი ლარით, სანებართვო მოსაკრებელი მშენებლობის დაწყებისათვის 15 ათასი ლარით; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 1.4 ათასი ლარით; შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 3 ათასი ლარით; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები -1 ათასი ლარით; არაფინანსური აქტივების კლება (მიწის გაყდვიდან)- 3575,8 ათასი ლარით; ამასთან, შემცირდა სახელმწიფო ბაჟი -4,8 ათასი ლარით;

ფინანსური აქტივების კლებამ (2012 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი განაწილდა) შეადგინა 1782. 3 ათასი ლარი;

გადასახდელები გაიზარდა 7111,5 ათასი ლარით, კერძოდ:-საერთო დანიშნულების სახელმწიფო სამსახურის ხარჯები გაიზარდა 427,9 ათასი ლარით; მათ შორის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება 330 ათასი ლარია;

-თავდაცვის დაფინანსება გაიზარდა 4,5 ათასი ლარით;

- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯი – 95,8 ათასი ლარით, მათ შორის პოლიციის სამსახურის ხარჯები – 104,6 ათასი ლარით;

- ეკონომიკური საქმიანობა – 3688,1 ათასი ლარით; მათ შორის საავტომობილო ტრანსპორტი და გზები 3685,1 ათასი ლარით;

- გარემოს დაცვა გაიზარდა 175 ათასი ლარით;

-საბინაო კომუნალური მეურნეობა - 1303,9 ათასი ლარით, მათ შორის წყლის სისტემის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯები -712,4 ათასი ლარით;

-დასვენების, კულტურის, რელიგიის დაფინანსება -625 ათასი ლარით, მათ შორის მომსახურება და დასვენება სპორტის სფეროში -80 ათასი ლარით, მომსახურება კულტურის სფეროში - 474,6 ათასი ლარით.

-განათლების დაფინანსება გაიზარდა - 551,4 ათასი ლარით, მათ შორის სკოლამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდა - 500 ათასი ლარით;

-სოციალური დაცვის დაფინანსება– 251,1 ათასი ლარით;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 56 %–ით, წლიური დაზუსტებული გეგმიური 10941,2 ათასი ლარის ნაცვლად შემოსავალმა შეადგინა 6101.9 ათასი ლარი; მათ შორის:

1. საწარმოთა ქონებაზე გადასახადის გეგმა შესრულდა 31 %-ით (დაზუსტებული გეგმა 450 ათასი ლარი; შესრულება 139,7 ათასი ლარი);
2. ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადის -101 % ( გეგმა 8,2 ათასი ლარი, შესრულება 8.3 ათასი ლარი)
3. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 32 % (გეგმა 770 ათასი ლარი, შესრულება 244,4 ათასი ლარი);
4. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 12% (გეგმა 200 ათასი ლარი, შესრულება 23,3 ათასი ლარი);
5. პროცენტებიდან შემოსავალი -67%-ით (გეგმა 160 ათასი ლარი, შესრულება 106,5 ათასი ლარი);
6. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -47 % (გეგმა 650.3 ათასი ლარი, შესრულება 308,5 ათასი ლარი);
7. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 10 % ( გეგმა 5 ათასი ლარი, შესრულება 0,5 ათასი ლარი);
8. მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე -79 % ( გეგმა 20 ათასი ლარი, შესრულება15,7 ათასი ლარი);
9. სახელმწიფო ბაჟი 114 % (გეგმა 1,2 ათასი ლარი, შესრულება 1,4 ათასი ლარი);
10. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 100 % (გეგმა 1,4 ათასი ლარი, შესრულება 1,4 ათასი ლარი);
11. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 48% (გეგმა 55 ათასი ლარი, შესრულება 26,6 ათასი ლარი)
12. სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი 87 % (გეგმა 3 ათასი ლარი, შესრულება 2,6 ათასი ლარი);
13. ჯარიმები, სანქციები, საურავები 48 % (გეგმა 350 ათასი ლარი, შესრულება 167,5 ათასი ლარი);
14. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 70 % (გეგმა 1 ათასი ლარი, შესრულება 0,7 ათასი ლარი);
15. შემოსავალი ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 30 % (გეგმა 100 ათასი ლარი, შესრულება 29,5 ათასი ლარი);
16. არაწარმოებული აქტივების (მიწის )გაყიდვიდან 98 % (გეგმა 3625,8 ათასი ლარი, შესრულება 3565,1 ათასი ლარი);

2012 წლის 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტი 1460 ათასი ლარის ოდენობით, გეგმიური 4533,6 ათასი ლარის 32%, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 530 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 100 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი 830 ათასი ლარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ექვსი თვის გადასახდელების გეგმა წლიურ გეგმასთან შედარებით შესრულდა 28 %-ით (გეგმა 12723,5 ათასი ლარი, შესრულება 3573,8 ათასი ლარი),

*ნინო ქურხული,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვის და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსი***

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური

### ფუნქცია და სტრუქტურა



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულია და ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამ სამსახურის უფროსია **ნუგზარ ჭანტურია.**

***დაიბადა 1979 წლის 27 აპრილს, საგარეჯოში. 1995 წელს დაამთავრა საგარეჯოს II საშუალო სკოლა. 2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2003 წლიდან მუშაობდა საგარეჯოს, შემდეგ თეთრი წყაროს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებში. 2004 წლიდან სამხედრო პოლიციის თბილისი-მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს გამომძიებელია. 2008 წლიდან მუშაობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ჯერ იურისტად, შემდეგ მთავარ სპეციალისტად ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურის უფროს საჯარო მოხელედ. ზედამხედველობის სამსახურის უფროსია მიმდინარე წლის აპრილიდან.***

***ჰყავს მეუღლე ნინო ყანდარელი და შვილი ნენე ჭანტურია.***

სამსახურის ძირითადი ამოცანაა ზედამხედველობის განხორციელება მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო ნაკეთობების, კონსტრუქციების, საპროექტო-ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე. ქალაქ საგარეჯოსა და სოფლების იერ-სახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, ავტოტრანსპორტის პარკირებაზე, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ხმაურის ინსოლაციისა და დასუფთავების განმსაზღვრელი სანიტარული ნორმების დაცვაზე. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვასა და მათ რაციონალურ გამოყენებაზე. მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე.

ამასთან, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სამსახური ახორციელებს: არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის კანონის დარღვევით მიმდინარე ფაქტების გამოვლენას, დარღვევით მშენებარე ობიექტის შეჩერებას ან დემონტაჟს, საჯარიმო სანქციების გამოყენებას, სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვას, დაზიანებული ქუჩების და მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლის დაწესებას. გარე რეკლამის განთავსების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, მათ შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლს და სხვა.

***ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტია*** **ზურაბ ნინოშვილი**. დამთავრებული აქვს საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი, სასოფლო-სამეურნეო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. 2003 წლიდან კახეთის რეგიონალური არქმშენინსპექციის ინსპექტორია საგარეჯოს რაიონში. 2005 წლიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქმშენინსპექციის მთავარი სპეციალისტია. 2010 წლიდან მუშაობს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მთავარ სპეციალისტად.

***ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტია*** **დავით ჩოკოშვილი**. დამთავრებული აქვს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. აღნიშნული სამსახურის მთავარი სპეციალისტია 2010 წლიდან.

***ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტია*** **გივი მათიაშვილი.** დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობს 2008 წლიდან.

***უფროსი საჯარო მოხელეა საქმის წარმოებასა და იურიდიულ საკითხებში*** **მაკა პასიკაშვილი**. 2008 წელს დაამთავრა თბილისის ეკონომიკის სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით. 2012 წლის 7 ივლისიდან დანიშნულია მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროს საჯარო მოხელედ საქმის წარმოებასა და იურიდიულ საკითხებში.

***ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სპეციალისტია*** **ნაზი ქურდოვანიძე**. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობს 2009 წლიდან.

***სამსახურის წამყვანი სპეციალისტია*** **დალი შათირიშვილი**. დაამთავრა თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმი. სამსახურის წამყვანი სპეციალისტია 2006 წლიდან.

## „ლიტერატურული მარათონი – 2012 და მისი გამარჯვებულები

# ღონისძიება, რომელიც დიდხანს ემახსოვრება მის მონაწილეებს

26 ივლისს საგარეჯოს ახალგაზრდულმა ცენტრმა ორ მნიშვნელოვან ღონისძიებას უმასპინძლა – მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო ახალგაზრდა საგარეჯოელ შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა და ამ ერთი თვის წინ ახალგაზრდებსა და პედაგოგებს შორის ჩატარებული „ლიტერატურული მარათონის“ გამარჯვებულთა დაჯილდოება. ლამაზად, გემოვნებით გაფორმებულ დაბაზში წარმოდგენილი გახლდათ ნინო მუჩიაშვილის, ნანუკა ცხვარიაშვილის, მარი ბეჟიაშვილის, მახარე მახარიკაშვილის, ნინო მათიაშვილის, ქეთი ოთარაშვილის, დიმიტრი ბილანიშვილის, სალომე დათუნაშვილის,ნათია გულისაშვილის, ნინო დარბაისელის, ედუარდ აგულაშვილის, ირმა შველიძის, ეკა და ნატა კირაკოზაშვილების, ქეთი და გვანცა ლაფერიშვილების, ეკა ჭიკაძისა და სხვათა ფერწერაში, ნაქარგობებში, გობელენში, თექაში, ჯვალოში, გრაფიკაში შესრულებული ნამუშევრები, რომელთაც დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს. „ლიტერატურული მარათონის“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალის დაწყებამდე, ფრანკოფონია 2012-ის ფარგლებში, საგარეჯოს ბავშვთა ვოკალური სტუდიის აღსაზრდელებმა (ხელმძღვანელი მ. ურდულაშვილი, ქორეოგრაფი ნ. ქურხული) ფრანგულ ენაზე წარმოადგინეს მონოსპექტაკლი „ჩიკაგო“, რომელშიც როლებს რეზო პაქსაშვილი, მარიამ დარბაისელი, სალომე ქოქიაური და სალომე ჯაბადარი ასრულებდნენ. სპექტაკლთან ერთად დამსწრეთა მოწონება და ოვაციები დაიმსახურა მაგდა ივანიშვილის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

შეჯამდა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებსა და პედაგოგებს შორის ჩატარებული „ლიტერატურული მარათონის“ შედეგები (ჟიური: რომან ზუკაკიშვილი, თინათინ ილაური, დარეჯან კერატიშვილი, თამარ ჯაბადარი, მანანა ბურდული). ახალგაზრდებში „ლიტერატურული მარათონის“ გამარჯვებულად დასახელდა ანანო ქვლივიძე. მეორე ადგილი მიეკუთვნა ნატო ონაშვილს, III – ნინო მეკოკიშვილს.

პედაგოგებს შორის ჩატარებული „ლიტერატურული მარათონის“ გამარჯვებული გახდა პატარძეულის საჯარო სკოლის დირექტორი, ამ მარათონის შარშანდელი I ადგილის მფლობელი ნინო ბურდიაშვილი. II ადგილებზე გავიდნენ: მარინე შაქარაშვილი და ლია შენგელიძე, III-ზე ნანა ყორღანაშვილი.

დასახელდა „ლიტერატურული მარათონის“ რჩეული ნაწარმოებების ავტორები. ესენი არიან, ახალგაზრდებში – ანა მირიანაშვილი, პედაგოგებში – პროზაული ლექსის ავტორი მართა ჭინჭარაული. „ლიტერატურულ მარათონში“ გამარჯვებულ ახალგაზრდებსა და პედაგოგებს შესაბამისი სიგელები და საჩუქრები წიგნები, მაგიდის სანათები და საკალმეები გადასცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ილია ჭიაურელმა და ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გიორგი ბეჟიტაშვილმა. მათ გამარჯვებულებს მიულოცეს ეს ჯილდოები, შემდგომი შემოქმედებითი წინსვლა და ახალ-ახალი წარმატებები უსურვეს. ასეთივე ფასიანი საჩუქრები გადაეცათ „ლიტერატურული მარათონის“ ჟიურის წევრებსაც. დაჯილდოვებულთა სახელით ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ახალგაზრდული სამსახურის მუშაკებს ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მოწყობისათვის



მადლობა გადაუხადა პედაგოგებს შორის გამარჯვებულმა ნინო ბურდიაშვილმა. მანვე წაიკითხა საკუთარი ლექსი.

შეჯამდა მხატვართა შემოქმედების შედეგებიც. ნაქარგობაში გამარჯვებულად დასახელდა და შესაბამისი სიგელი გადაეცა ეკა ჭიკაძეს. ფერწერაში გამარჯვებული გახდა მარი ბეჟიაშვილი, გობელენებში – ლალი ადუაშვილი და ნინო დარბაისელი, თექაში – გვანცა და ქეთი ლაფერიშვილები, გრაფიკაში – ანა თათრიშვილი, ჯვალოში – ქეთევან წიკლაური, შერეულ ტექნიკაში – ეკა და ნატა კირაკოზაშვილები. სიგელებთან ერთად მათ გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. მათი დაჯილდოების შემდგომ სიტყვით გამოვიდა ჟიურის თავმჯდომარე ზურაბ მარხვაშვილი, რომელმაც აღნიშნა ჩვენი შემოქმედების ხელოვნება, მათი წინსვლა ამ დარგში და უსურვა შემდგომი წარმატებები. ღონისძიება დააგვირგვინა საგარეჯოს ბავშვთა ვოკალური სტუდიის აღსაზრდელთა სიმღერებმა.

საგარეჯოს ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარებულ ამ ღონისძიებას დამსწრეთა დიდი მოწონება და მაღალი შეფასება ხვდა წილად. ეს მოსაწონი და დასამახსოვრებელი მოვლენა დიდხანს გაჰყვება საგზლად მათ და კიდევ უფრო წაადგება შემოქმედებითი ახალგაზრდობის შემდგომი წინსვლა-დაოსტატების, მათი ნამუშევრების საზოგადოების ფართო ფენებისათვის გაცნობა-გამომზეურების საქმეს, მთლიანობაში კი კიდევ ერთი აგური იქნება ჩვენი კუთხისა და ერის იმ ტაძრის შენებაში, რასაც ჩვენი ეროვნული კულტურა და შემოქმედება ჰქვია.

*ბიჟო დაბახიშვილი*

# „ლიტერატურული მარათონის“ გამარჯვებულები

## (I ადგილი)

გთავაზობთ კონკურს „ლიტერატურულ მარათონში“ პედაგოგთა შორის გამარჯვებულ (პირველი ადგილი) ნინო ბურდიაშვილის (პატარძეულის საჯარო სკოლის დირექტორი) და მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის ანანო ქვლივიძის (თბილისის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი) ნამუშევრებს.

კონკურსში მონაწილეთათვის მიცემული იყო დავალება – წინასწარ შერჩეული იყო დასაწყისი ფრაზა, სიტყვები, რომელთა მიხედვით კონკურსანტებს უნდა გაეშალათ თავიანთი ნაწარმოებები. შერჩეული იყო ფრაზები: „შემოდგომის უღრუბლო დღეა. ქარი ხმელ ფოთლებს ათამაშებს ქუჩაში“ და მეორე „მაღალი ცის ქვეყანაში გაზაფხულია. მთის მწვერვალებზე თოვლი უკვე დადნა. მინდვრები, სადაც ნახირი ძოვდა, მწვანედ აბიბინებულმა ბალახმა დაფარა“

### ნინო ბურდიაშვილი



## ალმართი უკვდავებისკენ

შემოდგომის უღრუბლო დღეა, ქარი ხმელ ფოთლებს ათამაშებს ქუჩაში. მთაბარს უცნაური ათინათი დასტრიალებს. წმინდა მთას ყელი მოუღერებია, საქორწინედ გამზადებულ პატარძალს დამსგავსებია.

... აღმართს მიუყვება, მხრებში ტკივილიანი სიმძიმე ჩურჩულებს, მისი თვალსაწიერი თითქოს ვიწროვდება, ნელ-ნელა ემსგავსება იმ ხვრელს, სადაც წუთისოფლის ყველა თხუნელა ლამობს სამუდამოდ თავშესაფრის პოვნას. მას, პოეზიის გრანდსა და მარტოსულთა ღირსეულ თანატოსს, თიბათვის მზის მცხუნვარება ენატრებოდა. ცისარტყელის ნაირფერი ციალება სულში ძველებურად აწკრიალებდა მშობლიურ სიმებს.

თბილისს ბარათაშვილისეული თავგანწირვით უცემს გული. ეშმას ამღვრევია ვნება, მორევია ჟინი აპოკალიფსური შერკინებისა. გამოჭრილა მზიანი ქალაქის ხვეულებში და კვლავაც ბოროტი სიჯიუტით ეძებს სიცარიელეს. „რა უხვი კია“, – გაიფიქრა ლუციფერმა, როდესაც ქართველთა უსაზმანო მზერას გაუსწორა ცბიერი თვალი.

... კაფეებში ბარებსა და სკვერებში უდარდელი ახალგაზრდობა ბობოქრობს. ბავშვები ჟრიამულით შესევიან სამყაროს. მთაწმინდა ნელ-ნელა თავს ხრის მათკენ, თითქოს ეძებს ვიღაცას, ეძებს დაჟინებით, მონდომებით, ამაოდ...

ცივილიზაციის გზაგასაყარზე შეჩერდა გალაკტიონი, მიმოიხედა. სადღაც, ზურგსუკან მონპარნასის ფაქიზი ქიმერები ტრიალებდნენ, იქ, წინ კი გულჩაფუფქული აზიური ზურნა გაჰკიოდა.

„ჩვენ აზია ვართ, ვართ უკულტურო.

უკულტურობა კი ძაღლია, ქოფაკი ძაღლი...“

– აღმოხდა მეფეს და მუზების საუფლოს მწყრალად დააშტერდა. ყველაფერი იყო თითქოსდა ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. წელში გაიმართა ლექსი, მისწვდა რეფრენის ნაპრალებს.

რეფრენი კი...

„რომ მეფე ვარ და პოეტი

და სიმღერით ვკვდები...“

– თავისას მოსთქვამდა.

უყვარდა გალაკტიონს ეს საუფლო. პარნასის ძირას მოიკალათა და თავი ჩაჰკიდა. ისევ ემძიმა რაღაც მხრებში, ისევ შეაჟრჟოლა.

ვიღაცამ შორს, სიჩუმეში ჩაილაპარაკა:

„გალაკტიონში არის დემონი

და ჩემში უფრო – ანგელოზია“.

ვინ იყო, ვერ მიხვდა. აღარ ჩაეძია საკუთარ გულისთქმას. მას აღარ სურდა განეცადა ქიმერული ვნებანი. იქნებ როგორმე გამოეხსნას ამ წყვდიადს, იქნებ გაარღვიოს ეს შეკრული წრე, თვალსაწიერსაც რომ უვიწროებს, უუფერულებს...

რატომ დაჰყურებს ასეთი მიმზიდველი იერით ზევიდან აკაკის ლანდი? ან ვარდითა და გვირილით შემკული მდუმარე სასაფლაო?

... ორკესტრი გადარეული უკრავს. მის სმენას აყრუებს ვაგნერი, ატკბობს სენსანსი და ეკლიან გზაზე მიმავალი შემოქმედი მეტრები.

ორღანმა ჩაუჭრა ორკესტრს, თითქოს დავლურში გამოიწვიაო, ისე გახელდა ქიმერიონის ამქარი.

„სად არის ტიციანი?“ – ერთი ოცნების ტყუპისცალი მოაგონდა უეცრად. რატომ ეგონა, რომ მის გვერდით სწორედ იგი იყო საჭირო და სხვა არავინ. ამასწინანდელი ხმაური ხომ არ მოენატრა? დუქანში თავსგადახდენილი.

მარტოა, სრულიად მიუსაფარი, იდუმალების წიაღში შთენილი,მეფე პოეზიისა...

ქალაქს ბინდი ეპარება, დაიღალა თვითონაც, ყბედი მეჯინიბესავით ეძებს სასთუმალს,რომ სახვალიოდ ძალა – ჭორებსა და აურზაურში კვლავაც გადაეშვას აქტიურად.

ღვთისმშობლის დიადემა, მდუმარე ლანდები, თიბათვის ნოსტალგია...

„ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი – ასეთი ცისფერი?..“

ლუციფერს მზე – მარიამის შარავანდი აღემართა წინ. ნათლისვეტად ჩამოეშვა ზეციდან იბერიის უძლეველი მატიანე.

გალაკტიონს მწარედ აღმოხდა:

„სამშობლოს იქით... ისევ მეძახის ჩემი დემონი“,

მთაწმინდიდან კი ბარათაშვილის მერანის ფლოქვების თავგანწირული ჭენების ხმა მოისმა.

„არც კაცი ვარგა, – მტკვრის მძინარე ტალღებიდან მოესმა გალას ჩუმი ბუტბუტი. ვეღარ იგებს რა ხდება მის თავს. რაღაც უცნაური მიღმაქვეყნიური, არსმენილი, არგაგონილი...

„– სიყვარული ამქვეყნის საკურთხევლად, უკან დაიხიე!“

„– რა უცნაურია, თავს იტყუებთ. შეხედეთ თქვენს ძვირფას სამყაროს, რა ცარიელია ირგვლივ ყველაფერი. მხოლოდ ბოროტება კვებავს და ხიბლავს ადამის მოდგმას. მე გავიმარჯვე“.

„– შეგეშალა, შეცდი. ძე – კაცისა კვლავაც ცოცხალია, თითოეულ ქართველში სახლობს. მას მხოლოდ შენ ვერ ხედავ...“

„– მხოლოდ მე? (ლუციფერი სიამოვნებით აკრუტუნდა) მხოლოდ მე?“

“– ადამის მოდგმას უჭირს, დიახ, ეს არ არის ახალი ჩვენთვის, უჭირს ამ ერთი მუჭა საქრისტიანოს და სწორედ ამიტომ ვადგავარ თავს ჩემს წილხვედრ ქვეყანას, მის თითოეულ ქმნილებას.“

“– დაგაგვიანდა, მე ახლოს ვარ მიზანთან...“

“– გიკრძალავ!“

“– ჰა-ჰა-ჰა!“

“– სახელითა უფლისათა...“

...გალაკტიონს ზურგზე შემოდგომის ცივმა ნიავმა დაჰბერა. მოიკუნტა, სუსხი

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

# ალმართი უკვდავებისკენ

**დასასრული**

იგრძნო, მაგრამ ეს სუსხი არ ჰგავდა ძველებურს, განცდილს...

ძვირფასი ტატოს გამოძახილი კიდევ უფრო აფორიაქებდა:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის,
ეს განწირული სულისკვეთება?"...

სამშობლოს იქით კვლავ მიათრევდა ლუციფერი ღვთისმშობლის ჩამქრალ შარავანდზე მეოცნებე და ოცნებებში დამარცხებული...

„ნუ გეშინია, აქვე ვარ, ახლოს, ძალიან ახლოს. მარტო არ ხარ, შემომხედე, დამინახავ, შემომხედე..."

...„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!!!"

***

თბილისის დაბინდულ სიცოცხლეს ფეხაკრეფით, მორჩილად მიჰყვებოდა ჩემი გალაკტიონი.

„ის მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის..." მთვრალი სიყვარულით, ლექსით, საქართველოთი...

კაფეში შესულ ყრმებს მზერა გააყოლა. იქვე კედელს მიეყრდნო, „ველურ წვერზე მოისვა ბრჭყალი", დაელოდა...

„მაწანწალები... მათხოვრები... ბინძურები"... – მოისმა ახლო-მახლოდან. გალაკტიონს სუნთქვა შეეკრა, კორიანტელივით წამოვიდნენ მის ფიქრებში ბობოქარი სიტყვები.

„ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე!... არავინ სხვა, არავინ მესამე, არსად მეგობარი, არსად თანატოსი. მუშტი ზე აღმართა, თვალებში სისხლიანი ნაპერწკალი აუფეთქდა.

... და ლუციფერს თავისთვის ჩაეცინა.

ნეტავ თუ ჰქონდა ოდესმე სამშობლო? აღარ ახსოვს, დაიკარგა, ვეღარავინ იცნო, ვეღარავინ ინდო. ჰქონდა თუ განმეორდა...

ბოლომდე მაინც მიჰყვება ალმართს... გზის დასალიერს ძვირფასი ლანდი ელოდება– ეს კი ახსოვს, ეს კი იცის...

ქიმერებმა ფრთები გაშალეს, ცრემლად დაიღვარა ღვთისმშობელი.

„მზეო– მარიამ!!!"

მთაწმინდა ელოდებოდა საქართველოს პოეტების მეფეს. იცოდა, კარგად იცოდა, რომ მას სხვა გზა, უბრალოდ არ ჰქონდა. იგი იყო ერთადერთი ნავსაყუდელი ამ უკიდეგანო ოკეანეში.

აკაკის აჩრდილთან შედგა გალაქტიონი.ჩონგურს სიმებად ჩაეკონა ქართული სიტყვა. ყველაფერს, ირგვლივ ყველაფერს, მაგიური სუნი ასდიოდა.

„აქ, ჩემს ახლოს, მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით„- ატირდა გალაქტიონი. მეფური ძილის სურვილმა ისევ აუჩქროლა ვნება. ისევ გახელდა ბარათაშვილის საფლავს ამოფარებული ლუციფერი.

ქვემოთ, ქალაქის დაცლილი ემოციის წიაღში, ვიღაცის პატარა სარკმელში მოჩანდა ქართული თვალსაწიერი– მწერლის დაჟანგებულ ბრაზე სახელდახელოდ დაკიდებული ხელნაწერი–მატეანე ქართული ყოფისა, ყოფისა, რომელმაც ერთი საბედისწერო მოვლენა შექმნა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, მოვლენა–გალაქტიონი.

თუმცა, ეს არ ესმოდათ ზევით, მთაწმინდაზე. იქ მხოლოდ ორნი იდგნენ ერთმანეთის გვერდით უჩინრად და თვალსაჩინოდაც...

ორნი–საქართველო და გალაქტიონი. პირველს, უპირველესს, მეორის ბედი აწუხებდა,რადგან ყველაზე უკეთ მან იცოდა, ვისაც ჰკარგავდა. ხოლო მას, მეორეს კიდევ უფრო კარგად ესმოდა პირველის სიდიადე. „მამა დავითის" შემოგარენი ყოველ წამს ახსენებდა ამას.

იქ, შორიახლოს მესამეც იყო–ჩუმი, უხილავი, არარაობა, ტატოს საფლავს რომ ეფარებოდა.

სად ხარ დედავ,ღვთისაო!..

ცისფერყანწელებს ბოჰემა მოეძალათ. უდაბნოს ხვატი და ქარავნები მათ აზიურ ვნებათაღელვას დაერია. ევროპამ ცივი მზერა სტყორცნა ქიმერიონის საძმოს და პაოლო– ტიციანის სულში ისევ აკვნესდნენ რემბო და მალარმე. მომავლის საქართველოში კი ვიღაცამ წინასწარ დაიგლოვა შემზარავად:

„ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა,
იწვა გალაქტიონი და თავისას ფიქრობდა"

მარტოობის მწუხარე სიმფონია კვლავ აჟღერდა ღამის ორკესტრში.

არც ტიციანი,არც პაოლო,არც საქართველო. (საქართველოც?!)

ცისფერი ორდენი ისევ ევროპას მიაშტერდა და დაიგმინა ქართულ მიწაში ფესვებგადგმულმა გოგლა ლეონიძემ:

„არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე"

ჭავჭავაძეო?! მთაწმინდა იძრა

***

გალაკტიონს თვალი ილიასკენ გაექცა. აქამდე ერიდებოდა, რაღაც აყოვნებდა, რაღაც იჭერდა. რაღაც, რამე... ეს ხომ ლუციფერია – თავისი ეპითეტებით, თავისი კონკრეტიკით, თავისივე აბსტრაქციით.

„არა, ოღონდ იქით არა, ილიასკენ არა!!!" – მოსცილდა ტატოს საფლავს ლუციფერი. უნდა შეაჩეროს როგორმე, აუცილებლად.

ილიას სამარესთან ვიღაც დალანდა გალაკტიონმა, პატარა პროფილით, ცისფერი თვალებით. გაუჭირდა ნაბიჯის გადადგმა. შეტორტმანდა. უცბად, თითქოს ზურგიდან ხელი ჰკრესო, მეყსეულად გაჩნდა საქართველოს სინდისთან.

გაიხსნა ზეცა...

„ – ვინ ხარ პატარავ,აქ საიდან გაჩნდი?"

„ – მე წეღანაც აქ ვიყავი, ვერ შემნიშნეთ უბრალოდ!"

„ – შეუძლებელია, წარმოუდგენელია." დააკვირდა ბიჭს,ეცნაურა თითქოს,დაძაბა მეხსიერება:"

"– იქ, დაბლაც შევხვდით ჩვენ ერთმანეთს, აღარ გახსოვართ..."

გალაკტიონი თხემით ტერფამდე შეტოკდა, ჟრუანტელმა დაუარა ქართულ ძარღვებში. ეს არ იყო რეალობა. ალბათ ისევ ქიმერაა, მოჩვენებაა, ან იქნებ მისი ნაოცნებარი?

„– ეგ რა გიდევ მუხლებზე პატარავ?"

"– ეს საქართველოს მატიანეა, პოეტო. ჩვენი ქარტეხილიანი სამშობლოს ბედისმწერალი".

„– მერე და რა გიწერია მაგ ბედის წიგნში, ჩემო კარგო?" („პოეტო" – ჩუმად ჩაეცინა)

„– ქართველი თუ ხარ, ცეცხლს შენობით ელაპარაკე".

„– რაო?" – შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა გალაკტიონს.

ბიჭმა გააგრძელა:

„– მე ვარ უკვდავი სული, რომელიც არ განებებთ თავს, მე ვარ სწორედ ის ბავშვი, წეღან რომ შეგხვდა კაფემდე მისულს, მე ვარ ის ღამე, რომელსაც მარტოობისაგან დაღლილი განუწყვეტლივ ესაუბრები, მე ვარ ის მზე, თიბათვის მცხუნვარებით რომ გახელებს, მე ვარ ის გემი, სამშობლოს ნაპ[ირებს რომ მოგაყენებს და სამუდამოდ დაგასახლებს მის მშობლიურ სხეულში".

„– ესე იგი შენ მარტოობა ხარ?" – ისევ უიმედოდ აღმოხდა მარტოობის ორდენის კავალერს.

"– მე ვარ ანი და ჰოე. მე ვარ ყრმა აკვნიდან არტახებდაწყვეტილი და ბაზალეთიდან შენამდე მოღწეული.

"– ესე იგი"

იძრა ილიას სამარე.

„– მე საქართველო ვარ".

" საქართველო..." – გადმოდგა მთაწმინდის მიჯნაზე გალაკტიონი და მისმა ღრიალმა შეატორტმანა ქართული ცნობიერება. ქვემოთ რომ სამუდამოდ ჰკარგავდა თვალსაწიერს.

ზეცას კურცხალი ცრემლი მოსწყდა. ატირდა ქართული მატიანე.

***

ხელიხელჩაჭიდებულნი მიჰყვებოდნენ მთაწმინდის დაღმართს ბიჭი და გალაკტიონი.

ბიჭი გახარებული და ბედნიერი, რომ სამშობლოს აღარ მისცა შვილი დასაკარგავი და გალაკტიონი – მხრებგამართული და ღიმილიანი. საბოლოოდ გამარჯვებული ბედსა და მარტოობაზე.

მეფე!

კვარცხლბეკზე!

აღარ იყო ეული. მან იპოვა მეგობარი, სახელად – საქართველო!

და გაიხსნა თვალსაწიერი, გაფართოვდა და ჯინის მარწუხად გადაიქცა ლუციფერი.

დაღმართი – მარადიულ ალმართად იქცა.

• • • • • • • • • • • • • • • • • • • • •

ანანო ქვლივიძე



# სანამ ცოცხალი ხარ

„მაღალი ცის ქვეყანაში გაზაფხულია. მთის მწვერვალებზე თოვლი უკვე დადნა. მინდვრები, სადაც ნახირი ძოვდა, მწვანედ აბიბინებულმა ბალახმა დაფარა. მინდვრის პირას მორაკრაკე ზეციური მდინარიდან საამო სურნელი დის." კიდე ერთი გვერდი გადავფურცლე. კითხვა განვაგრძე, მაგრამ ოცნებებითა და წარმოდგენებით აწრიალებულმა ვეღარ შევძელი გამეაზრებინა თითოეული წინადადება. გონებაში მწვანედ ახასხასებული ხავერდოვანი მდელოები, მთის ფერდობზე შეფენილი ცხვარი, არაჩვეულებრივი სურნელით გაჟღენთილი ჰაერი და საამურად მოჩუხჩუხე მდინარის ხატება ენაცვლებოდა ერთმანეთს. იცით, იმ მომენტში როგორ მომინდა მაღალი ცის ქვეყანაში მეცხოვრა სამუდამოდ?! ცოდვილი მიწისგან, გაამპარტავნებული გულებისა და უღმერთო,ადამიანობადაკარგული სამყაროსგან მოშორებით. წამიერად წარმომიდგა გონებაში ის სიმშვიდე და ნეტარება, რაც მაღალი ცის ქვეყანაში სუფევდა, რომელსაც არც მე და არც ჩვეულებრივ მოკვდავთა დიდი ნაწილი არ ვიმსახურებდით.მეც ხომ იმ საზოგადოების ნაწილი ვიყავი, ისეთივე სასტიკი და ამპარტავანი.

ჰო, ცოდვებით ვიყავი დამძიმებული. ჩემი სულის ბნელი ჯურღმულები ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დაგმანული და სინათლის სხივიც ვერ აღწევდა იქამდე. მაგრამ არ არსებობს ადამიანი, ცხონდეს და არა სცოდოს. მეც უკეთესობისკენ ვისწრაფოდი. მინდოდა შემეცვალა არა სამყარო, არამედ საკუთარი თავი. ჩემს გულში გამეშენებინა ედემის ბაღი და სიყვარულით გამეთბო ადამიანთა გულები. არ ვაპირებდი ღუზა ჩამეშვა ცხოვრების ოკეანეში და გულხელდაკრეფილს მეყურებინა როგორ ვიღუპებოდი.

მე ვიცოდი, კარგად მქონდა გააზრებული, რომ ერთხელაც მოვიდოდა დრო, როცა ვეღარ ვნახავდი მზის ჩასვლას, ბუნების შედევრს, რომელიც ასე ძლიერ მიყვარდა და მაღელვებდა.

ვერ შევძლებდი ვარსკვლავებით დახუნძლული ცისქვეშ დამედო ბინა ზაფხულის საღამოს და შიშველი ფეხისგულები მიმეფიცხებინა გახელებული კოცონისთვის.

ღმერთო,რამდენს ვფიქრობდი სიკვდილზე. როგორ მეშინოდა, უეცრად არ მწვეოდა იგი. ისე წავეყვანე, რომ ამქვეყნად თითოოროლა თბილი სიტყვისა და აურაცხელი ცოდვის მეტი არაფერი დამრჩენოდა. ამიტომ ვჩქარობდი, მინდოდა რაიმე ღირებული დამეტოვებინა სააქაოს. თუნდაც წყალაღმა სიარული დამჭირვებოდა, საკუთარ თავში მეპოვა ძალა და დემონი დამემარცხებინა.

როგორი დაუნდობელი ყოფილა დრო. ჯერ ბავშვობა წამართვა. ყველაზე ტკბილი და საყვარელი ხანა. ისე წამართვა, ვერც კი გავაცნობიერე. მხოლოდ შორიდანღა მესმოდა იმ სიმღერის ნოტები, რომლითაც დედა მამშვიდებდა, როცა უკუნ სიბნელეში შეშინებული ვიღვიძებდი. მეზობლის ბაღში მალულად სიარულსაც გადავეჩვიე. ისე ჩაიარა ჭერმობამ, აღარ დამსუსხვია ჭინჭრით ფეხები და აღარც ხილის მოპარვით გამოწვეული გულის ცახცახი მიგრძვნია სხეულში.

ვიცოდი, ასევე სწრაფად გაივლიდა ახალგაზრდობაც. ბავშვობის მსგავსად, თვალის დახამხამებაში ჩაიქროლებდა. კიდევ ერთხელ დავფიქრდი, როგორი ფუჭი და უსარგებლო იყო ჩემი სიცოცხლე, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ ვცდილობდი გარშემომყოფებს დავხმარებოდი. დავხმარებოდი სიტყვით, საქმით, უბრალოდ ღიმილით და თანადგომით. არ არსებობს სრულყოფილი ადამიანი, ვერ იქნები ყველა სათნოების მატარებელი. მაგრამ ხომ შეგვიძლია, სულ მცირე რამ მაინც გავაკეთოთ უფლის გულისთვის? ვიყოთ გულთბილნი, თავმდაბალნი და მოსიყვარულენი ერთმანეთის მიმართ?!

ვიგრძენი, რომ თვალები ცრემლით მქონდა სავსე. უმოქმედოდ ყოფნა აღარ შემეძლო. ვიცოდი, თუკი გავანადგურებდი ეჭვის ჭიებს,რომლებიც გულს მიღრღნიდნენ და სასოწარკვეთილებაში მაგდებდნენ, აუცილებლად მივაღწევდი მიზანს, ოცნებას ავიხდენდი და შეძლებდი საკუთარ თავზე გამემარჯვა.

ბედნიერია ის ადამიანი, ვინც გაფრთხილებულია, თუ რა მოჰყვება მის ნაბიჯს. მეც ბედნიერი ვარ და თქვენც. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ მარადიული სასუფეველი დავიმკვიდროთ, იმისთვის, რომ ბედნიერად იცხოვრონ ჩვენმა სულებმა ცის ქვეყანაში. გვაქვს ისეთი ცოდვებიც, რომლის აღიარებაც გვიძნელდება. მთავარია, გავიაზროთ, რომ არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდეს და დაფარული, რომელიც არ გამომჟღავნდეს ღვთის წინაშე. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი ცოდვილთა საცხოვნებლად მოვიდა ამქვეყნად, ჩვენს გამო ეცვა ჯვარს. მიუხედავად იმისა,რომ არნახული წამება და შეურაცხყოფა აიტანა, მთელი გულით შეგვიყვარა.

საკურთხევლის წინ, მუხლებზე დაჩოქილი ვტირი საკუთარი ცოდვების გამო. სახე ცრემლებით მაქვს დაფარული, მაგრამ ბედნიერი ვარ. მე ხომ ცოცხალი ვარ, ესე იგი, ჯერ კიდევ შემიძლია უკეთესობისკენ შევცვალო ჩემი ცხოვრება. მოძღვართან გულწრფელი აღსარებით ვიწყებ სულიერ განახლებას.

ღმერთს ვთხოვ, რომ თუ კი ოდესმე ამოიწურება სიტყვების მარაგი, რომლებიც მხოლოდ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავენ, სწორედ მაგ დროს შეაჩეროს ჩემი გულისცემაც, რადგან არ მენდომება ადამიანობადაკარგულმა ვიარსებო ამქვეყნად.

სანამ ცოცხლები ვართ, გავიღიმოთ. სანამ ვსუნთქავთ, მხოლოდ სიყვარული გავუზიაროთ ერთმანეთს. სანამ ვარსებობთ, ვეცადოთ შავ-თეთრი ფერები გავაფერადოთ. თუ არ გამოგვივიდა, ხომ ვეცდებით მაინც?!

ბედნიერება სადღაც შორს, ეგზოტიკურ კუნძულზე კი არა, აქვე ახლოს, ჩვენს გულებში უნდა ვეძებოთ.

## თქვენ რას ფიქრობთ?

# სოციალური ქსელების გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე

**ჩვენი თანამემამულე მარი ღრეული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობის ერთ-ერთი წარჩინებული სტუდენტია. ის უკვე მეორეკურსელია. მარი საგარეჯოს I საჯარო სკოლის მოსწავლეობისას აქტიურად მონაწილეობდა რაიონული გაზეთის ფურცლებზე. გვწერდა თავის ნაფიქრალ-ნააზრევს, საკმაოდ ლამაზად, სხარტად, ლაკონურად. ერთი პერიოდი ინგლისში და ამერიკაშიც სწავლობდა, შთაბეჭდილებანი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აისახა. ამჯერად გთავაზობთ მის ნაშრომს „სოციალური ქსელების გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე“, რომლის გაცნობაც ნამდვილად საინტერესო და საყურადღებოა თითოეული ჩვენგანისათვის.**



სოციალური ქსელი - წარმოადგენს საიტს, რომლზეც მომხმარებლებს შეუძლიათ ესაუბრონ ერთმანეთს და გამოთქვან თავიანთი აზრები.

თავად ტერმინი, სოციალური ქსელი, არც ისე დიდი ხნისაა. გასული საუკუნის 30-იან წლებში, ამერიკელი სოციოლოგები ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებს სწავლობდნენ. ასეთ კავშირებს სოციოგრამების, ანუ ერთგვარი დიაგრამების საშუალებით გამოსახავდნენ. ამ გამოსახულებებში ცალკეული პიროვნებები წერტილებით იყვნენ აღნიშნულნი, მათ შორის კავშირები კი – ხაზებით. ამ სახით ვიზუალიზებულ ადამიანთა საზოგადოებას, ანუ ურთიერთგადამკვეთ ხაზთა რთულ სისტემას, სოციალური ქსელი დაარქვეს.

ტერმინმა „სოციალური ქსელი“, მოგვიანებით, სოციოლოგიიდან ინტერნეტშიც გადაინაცვლა. ინტერნეტში იგი ისეთ ვებგვერდებს ან სერვისებს აღნიშნავს, რომლებსაც თავად მომხმარებლები ამდიდრებენ. ასეთი საიტები ერთგვარ სოციალურ გარემოს წარმოადგენენ, რომელიც საერთო ინტერესებით დაკავშირებულ მომხმარებლებს ერთმანეთთან ურთიერთობის, ინფორმაციისა და გამოსახულებების გაცვლის საშუალებას აძლევეს.

ბოლო ხანს სოციალური ქსელები მთელს მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ამის მაგალითია FACEBOOK-ი. FACEBOOK-ის მომხმარებელთა რიცხვმა 500 მილიონს გადააჭარბა. ფეისბუკის გარდა არსებობს უამრავი სოციალური საიტი: TWITTER, ODNOKLASSNIKI და უამრავი სხვა.

ამ საიტებზე ახალგაზრდები რეგისტრირდებიან, მათზე ათავსებენ პერსონალურ მონაცემებს, პირად ინფორმაციასა და ფოტოსურათებს. ”მეგობართა” წრეში ერთიანდებიან, ეცნობიან ერთმანეთს, ამყარებენ კავშირს ერთობლივი ინტერესების პრინციპით. ამ გაერთიანებების წევრები ჩართულნი არიან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის განსხვავებულ ფორმებში, პერსონალური ვებ-გვერდების, ბლოგების, სადისკუსიო ჯგუფების მეშვეობით.

მე ვეთანხმები მოსაზრებას, რომ სოციალური ქსელები სახიფათოა ადამიანებისათვის. ამ პოზიციას რამოდენიმე მნიშვნელოვანი არგუმენტით ვამყარებ.

პირველი, სოციალური ქსელები დიდ საფრთხეს უქმნიან მოზარდებს. ამგვარი საიტები იზიდავენ უამრავ მოზარდს, რომლებიც კონტაქტების დამყარების მხრივ ხშირად აკეთებენ არასწორ არჩევანს; მშობელთა დიდი ნაწილი, როგორც წესია, არ არის საქმის კურსში და არ აქცევს ყურადღებას იმას, თუ რას ათავსებენ მათი შვილები საიტებზე; სწორედ იქ, სადაც გულუბრყვილო მოზარდები აკეთებენ არასწორ არჩევანს და გულახდილად გამოხატავენ პირადულ განცდებსა თუ შეგრძნებებს, თავს იყრიან საფრთხის მომტანი ზრდასრულები, ზოგჯერ ”სექსუალური მტაცებლებიც” კი. დაუფიქრებლად მოზარდები ჩადიან სახიფათო და უპასუხისმგებლო ქმედებებს, რომლებიც წარმოშობენ არასასურველ შედეგებს; პერსონალური ინფორმაციის დაუფიქრებელმა გამოქვეყნებამ შესაძლოა მათ მიაყენოს ზიანი. პირადი ცხოვრებისა თუ ინფორმაციის სრული აფიშირება შესაძლოა პიროვნებისათვის ძალიან მავნე აღმოჩნდეს. მოზარდთა უმეტესობას სამწუხაროდ არ ესმის, რომ ყველაფერი, რასაც ისინი განათავსებენ ქსელში, ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება, ნებისმიერს შეუძლია გაეცნოს ამ ინფორმაციას და ეს შეიძლება გამოიყენოს არა მხოლოდ კეთილმა, არამედ ცუდმა ადამიანმაც; განუსაზღვრელი გატაცება, ქსელში ყოფნისათვის მთელი თავისი დროს დახარჯვა იწვევს იმას, რომ მოზარდები და ახალგაზრდები უარს ამბობენ ამ ასაკისათვის სასარგებლო და სასიამოვნო საქმიანობაზე და გართობაზე, რითაც ხელოვნურად ზღუდავენ საკუთარ განვითარებას; არის შემთხვევები, როდესაც დევიანტური ქცევისა ან მიდრეკილების მქონე ახალგაზრდები ამყარებენ კავშირებს თავისნაირ არა მარტო ახალგაზრდებთან, არამედ ზრდასრულებთანაც, აყალიბებენ სახიფათო გაერთიანებებს და მათში ითრევენ სხვებსაც. ისინი ქმნიან ილუზიას, რომ დევიანტური ქცევა - წარმოადენს ნორმას, ამან კი გაერთიანების ცალკეული წევრი ან ჯგუფი შეიძლება მიიყვანოს მავნე, სახიფათო ქცევამდე;

მეორე, სოციალური ქსელები სახიფათოა, რადგან გულუბრყვილო მომხმარებლები შეიძლება იქცნენ სარისკო სექსუალური ქცევისაკენ მიმართული წინადადებებისა და მოწოდებების მსხვერპლად. ვინაობის გაყალბების შემთხვევაში სულ უფრო ადვილდება შეურაცხყოფის მიყენება სხვებისთვის. მუქარა უფრო საშიშად გვეჩვენება, თუ არ ვიცით ვინაა ადრესატი, ვისთან გვაქვს საქმე. შესაძლოა ამით ვინმეს ისეთი ქცევისაკენ უბიძგონ, რომელიც არ შეეფერება ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს. სოციალური ქსელი ამგვარი ძალადობისათვის მართლაც ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

მესამე, სოციალური ქსელები სახიფათოა ადამიანებისთვის, რადგან მისი რეგულარული მოხმარებით ისინი წყდებიან რეალურ ცხოვრებას. ადამიანები ცოცხლობენ სოციალურ ქსელებში, ურთიერთობენ, აცნობენ ყოველ სიახლეს, იღებენ ინფორმაციას. ამის ხარჯზე სულ უფრო კლებულობს ცოცხალი და ჯანსაღი ურთიერთობები, განსაკუთრებით ოჯახის წევრებთან. იმის ნაცვლად, რომ სახლში მისვლისას დრო დავუთმოთ ახლობელ ადამიანებს, მოვუყვეთ იმ დღეს მომხდარი საინტერესო ამბები თუ თავგადასავლები, გავუზიაროთ ერთმანეთს განცდები, სიხარული თუ ტკივილი, ეგრევე ვუსხდებით კომპიუტერებს, შევდივართ სოციალურ ქსელში და ყველა უცნობსა თუ ნაცნობს ვატყობინებთ საკუთარ ამბებს. თანაგრძნობა, მხარში ამოდგომა, გამხნევება თუ სიხარულის გაზიარებაც კი ვირტუალური გახდა, გამოხატული კომენტარებითა და სმაილებით.

გარდა ამისა, რაც მეტი დრო გადის, ხდება სრული გაუცხოება ოჯახის წევრებთან, სულ უფრო ნაკლები კონტაქტი მათთან, უფრო მეტია დაძაბულობა, გიჭირთ ერთმანეთის გაგება. ადამიანი მთლიანად ეშვება ვირტუალურ ცხოვრებაში და შორდება საყვარელ და ახლობელ ადამიანებს, წყდება რეალურ ცხოვრებას. თითქოს უფრო მეტი ნაცნობი და მეგობარი ჰყავს, მაგრამ უფრო მეტად მარტოსული და ჩაკეტილი ხდება, რადგან იკარგება ცოცხალი ურთიერთობები, ურთიერთგაგება, გულახდილი საუბრები.

რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ რომ დაიცვას მოქალაქეები სოციალური ქსელების უარყოფითი გავლენისგან? რა უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენ, მოქალაქეებმა?

მთავრობის მხრიდან სოციალურ ქსელებზე მონიტორინგის განხორციელება და კონტროლის დაწესება გარკვეულწილად ადამიანის უფლებების დარღვევად აღიქმება, როცა არდაწესებას წარმატებით იყენებენ კიბერდამნაშავეები, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციები. ეს ფაქტი კი ერთგვარი დილემის წინაშე აყენებს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობებს, რომლებიც ცდილობენ პრობლემა თავისებურად მოაგვარონ, რაც ხშირ შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდება.

მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დევიდ ქემერონის მხრიდან გაკეთებულმა განცხადებამ სოციალურ ქსელებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ საზოგადოებრიობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მთავრობამაც “დათმო” დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე.

ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევებით, აღმოჩნდა, რომ სოციალური ქსელების კონტროლი საკმაოდ იოლი ყოფილა, რაც პირდაპირ კავშირშია თავად ქსელის სტრუქტურასთან და მის ჰომოგენურობასთან. სოციალური ქსელის საშუალებით სასურველი შედეგის მისაღწევად, აუცილებელია ქსელის მხოლოდ 20 პროცენტ მომხმარებელში საჭირო ინფორმაციის გავრცელება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდითაც გარკვეულწილად იზღუდება პიროვნების თავისუფალი არჩევანისა და ნების გამოხატულობის საშუალება. ფაქტიურად, სოციალური ქსელის მეშვეობით მომხმარებელს აწვდი ისეთ ინფორმაციას ან იმ სახით მიაწვდი მასალებს, რაც პირდაპირ კავშირშია მისაღები შედეგის დადგომასთან და იწვევს შენთვის სასურველი მიზნის მიღწევას, რაშიც ქსელის მომხმარებელი, მისდა გაუცნობიერებლად “გეხმარება”. ესეც შეიძლება მიჩნეულ იქნას სოციალურ ქსელებზე კონტროლის დაწესების ერთ-ერთ მეთოდად.

ჩემი აზრით, გამოსავალი სოციალური ქსელების მავნე გავლენისგან თავის ასარიდებლად არ შეიძლება იყოს მთავრობის მიერ ამ ქსელების მონიტორინგი თუ აკრძალვა. საუკეთესო გზად ალტერნატიული აქტივობების, ღონისძიებების მოწყობა მეჩვენება, რომლებშიც ჩართვის შემთხვევაში ადამიანებს ნაკლები დრო დარჩებათ იმისათვის, რომ სოციალური ქსელების ირეალურ სამყაროში გადაკარგონ თავიანთი თავი.

ყველა იმ უარყოფით მხარესთან ერთად აუცილებელია აღვნიშნოთ, სოციალური ქსელების დადებითი მხარეები. ისინი მომხმარებლებს უქმნიან თვითგამოხატვისა და მეგობრული კავშირების დამყარების კარგ საშუალებას. მეგობართა წრის გაზრდამ მომავალში შესაძლებელია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ადამიანის ინტერესთა სფეროს მრავალფეროვნებასა და კარიერულ ზრდას. თუმცა ეს ყველაფერი მომხმარებლების ძალიან მცირე რაოდენობას თუ გამოსდის. უმეტესად სოციალური ქსელები ადამიანებზე უარყოფითად მოქმედებს.

მოკლედ, აუცილებელია თითოეულმა ჩვენგანმა გააცნობიეროს სოციალური ქსელების უარყოფითი გავლენა. უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე და ყველანაირად ვეცადოთ ჩვენ გამოვიყენოთ იგი, იმის ნაცვლად, რომ სოციალურმა ქსელმა გამოგვიყენოს ჩვენ.

---

# ქალაქის სკოლები ახალი სასწავლო წლის მოლოდინში

როგორც ცნობილია, განახლებული სასწავლო გარემო პირობები ყოველთვის მეტ დაინტერესებას და მოტივაციას იწვევენ ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობაში სრულყოფილი განათლების მიღებისა და ცოდნის მწვერვალების უკეთ დაუფლების საქმეში. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი მუდამ პრიორეტულია სასკოლო დაწესებულებების ცხოვრებაში. ეს გარემო პირობები ძირითადად საზაფხულო არდადეგების დროს იქმნება და ყალიბდება. ახლა ზუსტად ეს დროა და იმის გასარკვევად, თუ რა კეთდება ამ კუთხით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, როგორ ემზადებიან ისინი ახალი სასწავლო წლის შეხვედრისათვის, ამ დღეებში ვეწვიეთ ქალაქის საჯარო სკოლებს, გავესაუბრეთ მათ ხელმძღვანელებს იქ მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

### საგარეჯოს I საჯარო სკოლა

(მენეჯერი თამარ ლაფაჩიშვილი)

აქ სკოლის საკუთარი ბიუჯეტით შენობის სამივე სართულზე შეიღესა ყველა ფლიგელის დაზიანებული კედლები და შეიღება. სკოლისავე ბიუჯეტით შეიღება შენობის ფასადი, რომელიც ხელმეორედ გადაიღებება საღებავის გაშრობის შემდეგ. სკოლამ ასევე შეიძინა 30 სკამი და მერხი საბაზო საფეხურის კლასებისათვის. 40 საოფისე სკამი სამასწავლებლოსათვის. ნაწილობრივ შეკეთდა შენობის დაზიანებული სახურავი და გამოიცვალა წყალშემკრები მილები.

### საგარეჯოს II საჯარო სკოლა

(მენეჯერი ლელა ფანოზიშვილი)

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით უკვე კარგა ხანია სკოლაში მიმდინარეობს ფართო სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რასაც შპს „ჯინო+“ აწარმოებს. მშენებლების მიერ პირველი სართულის ფოიესა და კორიდორში შეიცვალა და დაიგო ახალი იატაკები. ფოიეში მეტლახის ფილები, კორიდორში პარკეტი. შენობის ორივე სართულზე მოეწყო სველი წერტილები. პირველზე – გოგონებისათვის, მეორეზე – ვაჟებისათვის. გარემონტდა პირველკლასელთა ოთახი, დაიგო ლამინატის იატაკი, მოპირკეთდა და შეიღება კედლები. გარემონტდა და ლამინატის იატაკი, დაიგო სკოლის მენეჯერის კაბინეტსა და კანცელარიაში. მთლიანად შეიცვალა ელექტროგაყვანილობა I სართულზე. II სართულზე მონტაჟდება გათბობის ბატარიები. სულ მალე შეიყვანენ ბუნებრივ აირს. შეიცვალა I სართულის ყველა ოთახის კარები. დამატებით სკოლამ საკუთარი სახსრებით მეტლახის იატაკი დააგო სამასწავლებლოში. სკოლის ყოფილი მოსწავლის ემზარ კუჭუაშვილის დაფინანსებით რემონტი ჩაუტარდება II სართულზე არსებულ მის ყოფილ საკლასო ოთახს. მიმდინარეობს I სართულის ფოიესა და კორიდორის მოპირკეთება-შეღებვის სამუშაოები. სტუდენტური დასაქმების პროექტ SUMMER jOB-ის ფარგლებში I სართულის 1 ოთახს არემონტებენ საგარეჯოელი სტუდენტები: მინდია არაბული, თამარ ტაბატაძე, თათია ხარებავა, ანა ბარდაველიძე და ალექსანდრე მესტვირიშვილი. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, სამუშაოთა ტემპი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის სკოლა განახლებული და მოწესრიგებული სახით დახვდება აქ სასწავლებლად მოსულ მოსწავლეებს.

### საგარეჯოს III საჯარო სკოლა

(მენეჯერი ნატო კურდღელაშვილი)

ახალი დაფინანსების ფორმულის მეშვეობით სკოლამ საკუთარი ხარჯებით კოსმეტიკური სახის რემონტი ჩაუტარა რამდენიმე ლაბორატორიას და საკლასო ოთახს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კი ახალი სასწავლო წლისათვის შემოიტანა I საფეხურის მოსწავლეთა

*დასასრული მე-7 გვ.*

# ბრძენთა თამაშის საგარეჯოელ ქომაგს 60 წელი შეუსრულდა

## იუბილე



დიახ, თამამად შეიძლება ასე მოვიხსენიოთ ამ დღეებში ექვს ათეულს მიღწეული, საგარეჯოს საჭადრაკო ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი და ჩვენი ქალაქის მრავალი საჭადრაკო თაობების აღმზრდელი, საგარეჯოს 69–ე სასპორტო სკოლის ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე. კაცი, რომლის მთელი შეგნებული ცხოვრება სპორტის ამ პოპულარულ სახეობასთან და მის პოპულარიზაციასთან არის დაკავშირებული.

5–6 წლის იქნებოდა ირაკლი ქვლივიძე, როცა ძმებმა სახლში ჭადრაკი ასწავლეს და მას შემდეგ პირველ საშუალო სკოლაში სწავლისას თუ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტობის ჟამს, არა ერთი წარმატება უზეიმია. ყველაზე მეტად თავისი საჭადრაკო ცხოვრებიდან მაინც თბილისის ჭადრაკის სასახლის თასის გათამაშებებზე ირაკლი ცქიტიშვილთან მოგებული მატჩი, ზურაბ აზმაიფარაშვილთან ნათამაშები ყაიმი, საერთაშორისო გროსმაისტერ იგორ ეფიმოვთან განცდილი მარცხი ახსოვს.

დაუვიწყარი და მუდამ სასიამოვნო გასახსენებელია მისთვის თბილისში ჩატარებული სსრკ გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჭადრაკში ცნობილი ფიგურები, მსოფლიო ექსჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი, მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი, ვიტალი კორჩნოი და სხვები. ამ ჩემპიონატის ფარგლებში ანატოლი კარპოვის მიერ უნივერსიტეტში ჩატარებული ერთდროული სეანსი 20 საჭადრაკო დაფაზე, სადაც მხოლოდ ირაკლიმ და კიდევ ერთმა ქართველმა სტუდენტმა შეძლეს ყაიმით დამთავრება.

ჭადრაკის თამაშისათვის არც სტუდენტობის შემდგომ დაუნებებია თავი. თვითონაც თამაშობდა და საზოგადოებრივ საწყისებზე ჭადრაკის თამაშის საიდუმლოებებს აზიარებდა საგარეჯოელთა მთელ რიგ თაობებს. მათგან მწვრთნელს ამაგი დაუფასეს და მის გზას დღესაც აგრძელებენ საგარეჯოში კარგად ცნობილი მწვრთნელები: სხვადასხვა ასაკში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონისა და სხვა მაღალი ტიტულების მფლობელი ნანი უნაფქოშვილის აღმზრდელი, საგარეჯოს სპორტსკოლის მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი, ეკა ტაბატაძე, ნინო ოთიაშვილი და სხვები.

სამწვრთნელო საქმიანობასთან ერთად სახელმწიფო სამსახურშიც აქვს ნამსახური- იყო საგარეჯოს ადგილმრეწველობის კომბინატის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი, 22 წელი, საგარეჯოს სახელმწოფო სადაზღვევო ინსპექციის უფროსი, მაგრამ მისთვის ჭადრაკსა და სამსახურს არასოდეს შეუშლია ხელი ერთმანეთისთვის, თუმცა აქტიურ სამწვრთნელო ასპარეზს დროებით მოწყდა. როგორც თვითონ ამბობს, „სიბერის ჟამს" კი, სამწვრთნელო ჟინმა ისევ იძალა მასში და კვლავ საგარეჯოელი პატარების საჭადრაკო განათლების საქმეს მოჰკიდა ხელი. საამაყოდ აქვს ის, რომ მისი გაზრდილია კახეთის 7 და 8წლიანთა შორის სამგზის ჩემპიონი, საქართველოს წლევანდელი მესამე პრიზიორი ნიკოლოზ კევლიშვილი. ალბათ სიმბოლურიც არის, რომ ნიკოლოზ კევლიშვილმა თავისი ბოლო წარმატება, ქუთაისში გამართული ევროპის თასის გათამაშებაზე მიღწეული მეოთხე ადგილი თავისი მწვრთნელის 60 წლის იუბილეს დაამთხვია და თუ ასე გააგრძელა თამაში, მომავალში უფრო მეტ სახელსა და წარმატებებს ჰპირდება თავის მწვრთნელსაც და საგარეჯოელ გულშემატკივრებსაც. ნიკას გარდა ირაკლისთან კიდევ არაერთი ნორჩი იმედისმომცემი მოჭადრაკე იზრდება და ფრთიანდება. მათი რიცხვი გვიმრავლოს მწვრთნელსაც და საგარეჯოელებსაც.

ჩვენს 60 წლის მწვრთნელსა და კარგი შვილების მამას კი ვუსურვებთ მომავალშიც ბევრი სასახელო მოჭადრაკეები აღეზარდოს.

*გივი დაბახიშვილი*

## მილოცვა

დაბადებიდან 60 წლის შესრულებას ვულოცავთ საგარეჯოს საჭადრაკო ფედერაციის ვიცეპრეზიდენტსა და საგარეჯოს 69-ე სასპორტო სკოლის ჭადრაკის დამსახურებულ მწვრთნელს **ირაკლი ქვლივიძეს**. ვუსურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში და საჭადრაკო საქმიანობაში.

*აიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების თანამშრომლები*



დაბადების დღეს ვულოცავთ გაზეთ „გარეჯის მაცნეს" ბუჰხალტერს **ნანა ქურდოვანიძეს**, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს თავის მარიამთან ერთად.

*თანამშრომლები*

# ქუთაისში, ევროპის თასის გათამაშებაზე

გასულ თვეს ქუთაისში ჩატარდა ევროპის თასის გათამაშება ჭადრაკში 8-10-12 წლის გოგონებსა და ვაჟებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საბერძნეთის, ლატვიის, უკრაინის, ბელგიის, ესტონეთისა და საქართველოს ნორჩი მოჭადრაკეები. გათამაშება ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად. ასპარეზობაში სხვებთან ერთად თავიანთ ძალებს სცდიდნენ საგარეჯოს 69-ე სასპორტო სკოლის მოჭადრაკეებიც – 8 წლიანებში საქართველოს წლევანდელი III პრიზიორი ნიკოლოზ კევლიშვილი, ეთუნა ხებრელაშვილი და ლევან დალბაშვილი. 10 წლიანთა ასაკში გამოდიოდა ლალი გარსიაშვილი.

8 წლიან ვაჟთა შეჯიბრში 54 მონაწილე იღებდა მონაწილეობას და 5 ტურის შემდეგ ნიკოლოზ კევლიშვილი 4,5 ქულით II ადგილზე იმყოფებოდა. სამწუხაროდ, მეექვსე ტურის დაბოლოებისას ერთი არასწორი სვლის გამო დამარცხდა I ადგილზე გასულ ნიკოლოზ კაჭარავასთან. ბოლო VII ტურში ჩვენმა მოჭადრაკემ დაამარცხა 8 წლიანებში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი საბა ლომთაძე და 5,5 ქულა დააგროვა. ამდენივე ქულა აღმოაჩნდა კიდევ სხვა მოჭადრაკესაც და საბოლოოდ კოეფიციენტის მიხედვით ნიკოლოზი IV ადგილზე გავიდა, რისთვისაც დაჯილდოვდა დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით – მობილური ტელეფონით.

8 წლიან გოგონებში კარგად ითამაშა ეთუნა ხებრელაშვილმა, რომელმაც 7 შესაძლებლობიდან 4 ქულა დააგროვა.

*გივი დაბახიშვილი*

# ლუკა გურჯიძე და ეთერ ხებრელაშვილი– ვ. ქარსელაძის მემორიალის გამარჯვებულები



ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი, რომელიც ამასწინათ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა, ფაქტიურად საქართველოს მოსწავლეთა ასაკობრივი გუნდური ჩემპიონატია, რომელშიც რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების, ქალაქების უძლიერესი მოსწავლეთა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. ეს შეჯიბრება არამარტო ნორჩი ტალანტების დათვალიერებაა, აგრეთვე მწვრთნელი –პედაგოგების მიერ გაწეული მუშაობის შეჯამებაც არის.

აღნიშნულ მემორიალში რვაწლამდელ მოსწავლეთა ნაკრებთა შორის გამარჯვებული გახდა თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლის გუნდი "ბოკვერები", რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ და ვ. ქარსელაძის მემორიალის გამარჯვებულები გახდნენ– საგარეჯოს სასპორტო სკოლის ნორჩი მოჭადრაკეები, კახეთის ჩემპიონები, საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე ეთუნა(ეთერი) ხებრელაშვილი და საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე ლუკა გურჯიძე. გუნდი ამ შეჯიბრებისათვის მოამზადეს საერთაშორისო დიდოსტატმა საჭადრაკო კომპოზიციაში დავით გურგენიძემ და ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატმა თენგიზ კობიაშვილმა.

სურათზე: ვ. ქარსელაძის მემორიალში გამარჯვებული თბილისის მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლის გუნდი "ბოკვერები" ლუკა გურჯიძე, ეთერ ხებრელაშვილი მწვრთნელ დავით გურგენიძესთან ერთად.

# ქალაქის სკოლები ახალი სასწავლო წლის მოლოდინში

## დასასრული

ინდივიდუალური ერთადგილიანი მერხები და სკამები. მიმდინარეობს სხვა სახის სამუშაოები, რომ ყველა ღირსეულად შეხვდეს ახალი სასწავლო წლის დადგომას.

**საგარეჯოს IV საჯარო სკოლა**

(მენეჯერი ნელი ბალახაშვილი)

აქ სარემონტო სამუშაოებს ატარებს ტენდერში გამარჯვებული შპს „გიორგი-წმინდა 1". სარემონტო სამუშაოებს მთლიანად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებს. მშენებლების მიერ უკვე გარემონტდა შესასვლელი ფოიეს ჭერი და კედლები, დაიგო მეტლახის ფილები, შეიცვალა განათების სისტემა. მიმდინარეობს I სართულის დერეფნების მოპირკეთება-შეღებვის სამუშაოები. ამავე სართულზე დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის მოეწყო 2 სველი წერტილი, რომელთაც სპეციალურად გამოყოფილი დამლაგებელი მოემსახურება. ყველა ამ კლასებში ჩაისვა მეტალოპლასტმასის მინებიანი კარებები. ნაწილობრივ გარემონტდება კიბის უჯრედები. რემონტი უტარდება სასკოლო ბუფეტს.

მუნიციპალიტეტის ამ უდიდესი და მოწინავე სასკოლო დაწესებულების სიამაყე იქნება თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილ-მოწყობილი „მომავლის კლასი", რომელიც ნაწილობრივ დამონტაჟებულია. როგორც ქ-ნმა ნელი ბალახაშვილმა აგვიხსნა, სკოლამ საკუთარი ხარჯებით შეცვალა და მეტალოპლასტმასის მინებიანი კარები ჩასვა დაწყებითი კლასების დერეფანში. ასევე პერსპექტივაშია სკოლის მუზეუმის რემონტის ჩატარება. როგორც მან აღნიშნა, 20 აგვისტოსათვის სკოლა სრულ მზადყოფნაში დახვდება ახალ სასწავლო წელს აქ მოსულ 520 მოსწავლეს და მათ 52 პედაგოგს. მოსწავლეებისათვის სიახლე იქნება ისიც, რომ ცხრის ნაცვლად ახალი წლიდან მათი სწავლა-განათლების საქმეს უკვე 12 სერტიფიცირებული მასწავლებელი მოემსახურება.

*გივი დაბახიშვილი*

გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ნელი, ქეთევან, თინათინ, ნესტან და მარინა ჩეკურაშვილებს მეუღლისა და მამის, შესანიშნავი მეოჯახისა და ქართული ტრადიციების თაყვანისმცემლის, საგარეჯოს თვალსაჩინო ინტელიგენციის წარმომადგენლის

**გოგი ვასილის ძე ჩეკურაშვილის**

გარდაცვალების გამო. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

### ივლისის სტიქია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

# ზარალი ჩვენთანაც მეტისმეტად დიდია

18 ივლისის სტიქიამ თელავისა და კახეთის სხვა დასახლებული პუნქტების მოსახლეობასთან ერთად, დიდი ზიანი მიაყენა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის როგორც მაღალმთიანი, ისე ბარის სოფლებს – დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მწყობრიდან გამოვიდა საკომუნიკაციო საშუალებები, სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები და ქსელები, ელექტროგადამცემი ხაზები. კონკრეტულად თუ რა სახის ზარალი მიადგა ჩვენს სოფლებს, ამის შესახებ ***გვესაუბრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** __შალვა ჯაბადარი:__

– 18 ივლსს მოსულმა ძლიერმა წვიმამ და ქარიშხალმა სოფელი გომბორი წყალდიდობის საფრთხის ქვეშ დააყენა. აქ მოვარდნილმა ნიაღვრებმა დააზიანა სოფლის ყველა საუბნო გზა. ღვარცოფმა წაიღო სოფელ რუსიანისა და გომბორის დამაკავშირებელი ხიდი, რითაც გარე სამყაროს მოწყვიტა რუსიანის 50 კომლი. გომბორში, წყალმა წაიღო ხევის ქუჩის ხიდი, რითაც აქ მაცხოვრებელი 25 კომლი მოწყდა სოფელთან კავშირს. დაიტბორა საცხოვრებელი სახლების I სართულები. ძლიერმა ქარიშხალმა წააქცია ელექტროგადამცემი ბოძები, წყლისგან წაღებულია 1 ბოგირი – სიგრძით 8 მეტრი, სიგანით 6 მეტრი. აღნიშნული ბოგირით სარგებლობდა სოფლის 6 ოჯახი. წყალდიდობის შედეგად ჩამოვიდა მეწყერი. საერთო ჯამში შესაკეთებელი და სარეაბილიტაციოა ყველა შიდასასოფლო გზები, რომელთა პროფილის აღსადგენად საჭიროა მოხრეშვა-მოშანდაკების ჩატარება.

__რუსიანში__ დაზიანებული და დახრამულია სოფელში მიმავალი ცენტრალური გზის ზედაპირი. ასევე აღსადგენია (მოხრეშვა-მოშანდაკებით) შიდასაუბნო გზების ზედაპირი.

__კოჯბანი__. ძლიერი წვიმების შედეგად მოვარდნილმა ნიაღვრებმა დატბორა და გაანადგურა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები. წყლით დაიფარა საცხოვრებელი სახლების I სართულები, ნატანებით ამოივსო წყალგამტარი ბოგირები, რის გამოც წყალი გზებზე გადმოვიდა. ნიაღვრებმა სოფელში შესასვლელი ცენტრალური გზა მოთხრილი და დამტვრეული ხეებით ჩახერგა, წყალმა მიწასთან გაასწორა სიმინდის ნათესები, ქარიშხალმა ნაწილობრივ გადახადა სახურავი და ჩალეწა საჯარო სკოლის ფანჯრის მინები, ქარიშხლისგან მოთხრილი ხეები ავტომანქანებს დაეცა. სტიქიამ იკვლივ გორანა ფაქტიურად მოწყვიტა კოჯბანს, აქ სამანქანე გზა აღარ არსებობს. კოჯბანის ზემო უბანში გზა დაიხრამა და გაუვალია. ერთ სახლს დაეცა ხე და დაუზიანა სახურავი. სტიქიამ სოფელი ელექტროენერგიის გარეშე დატოვა. აღსადგენი გახდა შიდასაუბნო გზები და კოჯბანისა და იკვლივ-გორანას დამაკავშირებელი სამანქანე გზა.

__უჯარმა__. ძლიერი წვიმით ადიდებულმა მდინარე იორმა დააზიანა სასმელი წყლის მილსადენი, რომლითაც უჯარმელებს მიეწოდებოდათ სოფელ ხაშმის სათავიდან. აღნიშნული წყალსადენი გაედინება მდინარე ივრის კალაპოტში.

__ხაშმი__. აქ გამთენიისას მოსულმა სტიქიამ დააზიანა ხაშმის სასმელი წყლის სათავე ნაგებობა და მიმდებარე ტერიტორია. ე.წ. „ლაფიანი ხევი“ ადიდდა და მწყობრიდან გამოიყვანა 1500 მმ-იანი ცენტრალური წყალსადენი. დაიტბორა 1 მოსახლის სახლი.

__მანავი__. აქ მოვარდნილმა ნიაღვარმა დააზიანა და დახრამა ზემო მანავის, ტურისა და გორხანის უბნების შიდასასოფლო გზები. ამოვსებულია მანავის რიყის კალაპოტი, რითაც განმეორებითი წყალდიდობის დროს საფრთხე შეექმნებათ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა სახლებს. ამავე დროს წყალდიდობით ადიდებულმა მდინარე „მღვრიემ“ გადაანგრია დამცავი ჯებირი, რაც საფრთხეს უქმნის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

ძლიერმა ქარმა და წვიმამ ძირიანად მოთხარა ხეები __ღუზაბრამასა__ და __იორმუღანლოში__. დაიხრამა შიდასასოფლო გზები და აქედან წაღებული ქვა-ღორღით ამოივსო სანიაღვრე არხები __კაკაბეთში__, __ბადიაურსა__ და __მზისგულში__, სადაც აღსადგენია და გასაწმენდი გზებიც და სანიაღვრე არხებიც.

ისე, რომ ივლისის სტიქიისაგან ჩვენს მუნიციპალიტეტზე მიყენებული ზარალი მეტისმეტად დიდია და მათ გამოზრწყინებას, შესაბამისად დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

***– ბატონო შალვა, რა ღონისძიებები ტარდება მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად მოშლილი ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად?***

– საამისოდ შემუშავებულია ღონისძიებათა გეგმა, რათა ყველაფერი რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს და ჩვენს მოსახლეობას არ ჰქონდეს არანაირი პრობლემები. ამ სამუშაოთა ნაწილი დაწყებულია, ნაწილი უახლოეს ხანებში დაიწყება, ზოგიერთი სახის სამუშაო კი, მაგალითად ელექტრტოგადამცემი ხაზების აღდგენა, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ძალებს არ აღემატებოდა, უკვე შესრულებულია. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა კახეთის სამხარეო მმართველობის დახმარებით სტიქიიდან სულ მცირე ხანში მთლიანად მოაწესრიგა გომბორის თემში ელექტროენერგიით ნორმალური მომარაგების პრობლემა. დახმარება იქნება სამთავრობო დონეზეც, რათა მოსახლეობამ მალე დაივიწყოს აღნიშნული სტიქიაც და მისგან მიყენებული უსიამოვნებებიც.

*ჩაიწერა*
*გივი დაბახიშვილმა*

# შპს „სოკარჯორჯია გაზი-კახეთი“ გაფრთხილებთ

გაუმართავი გაზის ხელსაწყოების და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერმომწამვლელია. გარემოში CO-ს 0,5%-ის დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.

უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარის მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

__ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:__

ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია.

სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით, გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი.

გამათბობელის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა.

შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ გამოიყენოთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან გამორთოთ შუქი.

გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია შეამოწმოს გადაკეტილია თუ არა ონკანები.

გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან.

ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკებს გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ შემოვიდეს თქვენს ბინაში, მრიცხველიდან ანათვლის აღების, გაზგაყვანილობის, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისათვის და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

__კატეგორიულად აკრძალულია!__

საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალმაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლოატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსოდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავეშივე რჩება);

სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;

არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოების და სანთურების გამოყენება;

გაზის ხელსაწყოების და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეკეთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა).

დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსოების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;

გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება.

ანთებული გაზის უმეთვალყურეოდ დატოვება;

გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.

__გახსოვდეთ, რომ:__

პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლოატაციაზე ეკისრება მომხმარებელს.

__გთხოვთ დაიცვათ გაზის უსაფრთხო სარგებლობის წესების მოთხოვნები.__

---

სოფელ მზისგულში მცხოვრები მრავალშვილიანი გაბრელაშვილების ოჯახი სამძიმარს ვუცხადებთ პრეზიდენტის რწმუნებულს კახეთის მხარეში ბ-ნ გიორგი ღვინიაშვილს

__მამის__

გარდაცვალების გამო.

---

## მადლობა

**მადლობას** ვუხდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბ-ნ __გია ჩალათაშვილს__, საკრებულოს თავმჯდომარეს ბ-ნ __ილია ჭიაურელს__ და ბ-ნ __ემზარ კუჭუაშვილს__ ჩვენი ოჯახის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის. ღმერთი იყოს თქვენი ოჯახების მფარველი.

***სოფელ მზისგულში მცხოვრები 7 შვილის დედა***

*თამარ კალანდია-გაბრელაშვილი*

* * *

**მადლობას** ვუხდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს __გია ჩალათაშვილს__, მის მოადგილეებს, სამსახურების უფროსებს, ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს __ილია ჭიაურელს__, სადაზღვევო კომპანია „ჯი-პი-აი“-ს, „ჯეოჰოსპიტალს“-ის თანამშრომლებს, სოციალური დახმარებების სააგენტოს ყველა თანამშრომელს, ექიმ ნანა ცერაძეს, სათნოების სახლის (დირექტორი __დალი როსტომაშვილი__) თანამშრომლებს, გიორგიწმინდის რწმუნებულს __ზურაბ კაკუტაშვილს__ და ყველა იმ ადამიანს, ვინც მზრუნველობა გამოიჩინა და დახმარება გამიწია გაჭირვებულ, ავადმყოფ ადამიანს.

*ქუქუნა გიგაური*

## მადლობა

**მადლობას** ვუხდი შპს „ჯეოჰოსპიტალს“ის მრავალპროფილიანი საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის სამშობიარო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგეს __ბესო ჯაფარიძეს,__ ექიმ-გინეკოლოგ __ლევან ტიბინაშვილს__, ნეონატოლოგს __ლეილა ოდიკაძეს__, მედდებს: __მანანა ბუზარიაშვილსა__ და __ლია ჯავახიშვილს__ ჩემი რძლისა და შვილიშვილის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და პროფესიონალიზმისათვის. კვლავაც მრავალი ახალი სიცოცხლის მიღება-დაბადება გეზეიმოთ.

*მაგული სიმჩუკოვა-გოდერძიშვილი*
***საგარეჯო***

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com